სარჩელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის
შტამპის ადგილი

მოსარჩელე: შენიშვნა-1

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"	204952676	თბილისი. ფალიაშვილის ქ.№27/29, მე-2 სართული. ბ.13.
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შენიშვნა-2

ალტერნატიული მისამართი შენიშვნა-3	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	2222773			greenalt@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი: შენიშვნა-4

მანანა ქოჩლაძე	01018010619	თბილისი. ფალიაშვილის ქ.№27/29, მე-2 სართული. ბ.13.
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

		599916647		greenalt@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე: შენიშვნა-5

საქართველოს მთავრობა		თბილისი. ინგოროყვას ქ.№7.
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შენიშვნა-6

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: შენიშვნა-7

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 27-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი შენიშვნა-9

1		
სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-10

დავის საგანი

შენიშვნა-11

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

შენიშვნა-12

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხ-ლის „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს #214 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესი.

„სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის №107 დადგენილების შესაბამისად და/ან მის საფუძველზე საქართველოს მთავრობასთან დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმებთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს #214 დადგენილების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი დებულებების დარღვევით, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

შენიშვნა-13

დავის ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-14 შენიშვნა-15 შენიშვნა-16

1. ფაქტობრივი გარემოება

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს N214 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესი.

მტკიცებულება:
დანართი №1. "საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს N214 დადგენილება.

2. ფაქტობრივი გარემოება
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს N214 დადგენილების გამოცემამდე, ამ დადგენილებით განსაზღვრული საკითხები რეგულირდებოდა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის №107 დადგენილების - „სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

მტკიცებულება:

(დანართი №2. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის №107 დადგენილება).

3. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
(დანართი №

4. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
(დანართი №

5. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

6. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

7. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს N214 დადგენილება.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს;

მაშასადამე, საქართველოს მთავრობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და მასზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

სზაკ-ის 2.1 "ე"ქვეპუნქტის თანახმად ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს;

გასაჩივრებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს #214 დადგენილება წარმოადგენს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან იგი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს, საქართველოს მთავრობის მიერ, საკანონმდებლო აქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, შეიცავს მისი მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს და მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი.

სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

გასაჩივრებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულია კანონდარღვევებით. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია:

სზაკ-ის 103-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტის თანახმად თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები. ამავე მუხლის 12 პუნქტის თანახმად კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების მიმართ ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო, აგრეთვე მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული წესები.

სზაკ-ის 106-ე სეკუნდა მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნორმატიული

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი უნდა გამოქვეყნდეს ამ კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად ან კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდზე, ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

სზაკ-ის 106-ე მეოთხე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ყველას აქვს უფლება, წარადგინოს საკუთარი მოსაზრება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით.

გარდა ზემოხსენებულისა, საქართველოს მთავრობამ გასაჩივრებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას უხეშად ხელჰყო "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" საერთაშორისო კონვენციის (ორჰუსის კონვენციის) მე-8 მუხლით განმტკიცებული უფლება - გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ, ვინაიდან "საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს N214 დადგენილებით საქართველოს მთავრობის მიერ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცებით დადგენილია აღმასრულებელი დებულებები, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ გარემოზე.

გასაჩივრებული დადგენილებით, ირღვევა გარემოსდაცვითი პრინციპები (დადგენილია საქართველოს კანონით "გარემოს დაცვის შესახებ") და კანონმდებლობა. ამ დადგენილების მიღებამდე, მის მიერ განსაზღვრული საკითხები რეგულირდებოდა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის №107 დადგენილების „სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. ამ წესის მიხედვით, განისაზღვრებოდა ელექტროსადგურ(ებ)ის სავარაუდო განთავსების სქემა (სქემები) და ძირითად ტექნიკურ პარამატრები (მუხლი 5), რაზეც შემდგომში იდებოდა მემორანდუმი სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის. ამის შედეგად, უკვე განსაზღვრული იყო ელექტროსადგურის აშენებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემური საკითხი, რომლებზეც დამოკიდებულია პროექტის ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, ასევე ეკონომიკური საკითხები. ამასთანავე, პროცედურა არ ითვლისწინებდა ამ ეტაპზე, ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას, საზოგადოების მონაწილეობას. ამრიგად გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, არასაჯაროდ და გაუმჭვირვალედ მიიღებოდა. ამგვარად მიღებული გადაწყვეტილებები, კი, ერთის მხრივ, ელიტური კორუფციის საშუალებას ქმნის, მეორეს მხრივ, არ ხდებოდა გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გათვალისწინება. მხოლოდ ფინანსურ-ეკონომიკური მოსაზრებებით ხდებოდა რესურსების მაქსიმალური ათვისება, გარემოს საზიანოდ. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესი. შედეგად, გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ) პრაქტიკულად ფორმალობა ხდებოდა, ვინაიდან გზშ პროცესის დაწყებამდე, ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამ შეფასების შედეგად უნდა დადგინდეს - საერთოდ განხორციელდეს თუ არა პროექტი, ხოლო

განხორციელების შემთხვევაში მოიძებნოს გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით საუკეთესო ალტერნატივა - უკვე გადაწყვეტილი იყო. აღნიშნული ნათელი დასტურია ის გარემოება, რომ პრაქტიკულად, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, როდესაც გზშ-ს ჩატარებამდე ინვესტორსა და ენერგეტიკის სამინისტროს შორის დადებული მემორანდუმით/ხელშეკრულებით განსაზღვრული ელექროსადგურის პარამეტრები, და აქედან გამომდინარე, გარემოზე ზემოქმედების მასშტაბი, შეცვლილიყო გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში.

ახალი რეგულაციით, რომელიც დადგენილია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს N214 დადგენილებით, შენარჩუნებულია იგივე პროცედურა: გარემოზე ზემოქმედების შეფასების დაწყებამდე, საზოგადოების მონაწილეობის გარეშე, ენერგეტიკის სამინისტრო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს და თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსებს ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხას (შემდგომში - „ნუსხა“) და მათ თაობაზე სამინისტროში არსებულ ძირითად ინფორმაციას (მუხლი 1, პუნქტი 2.). მე-2 მუხლის 1 პუნქტის ა ქვეპუნქტის მიხედვით, ინტერსთა გამოხატვის თაობაზე სამინისტროს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს: ასაშენებელი ელექტროსადგურის დასახელებას, სავარაუდო განთავსების ადგილს, სავარაუდო სქემას და სავარაუდო ძირითად ტექნიკურ პარამეტრებს. (ანუ ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც განსაზღვავს ზემოქმედებას გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე და უნდა წარმოადგენდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგად გადასაწყვეტ საკითხებს).

1-ლი მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, ინტერესთა გამოხატვის შედეგად, საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ (შემდგომში - „ესკო“) და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს (შემდგომში - „გამარჯვებული პირი“) შორის იდება მემორანდუმი.

ასეთი პროცედურის შედეგად, საერთოდ აზრი ეკარგება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ამრიგად, ეს პროცედურა ანალოგიურია საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის №107 დადგენილებით განსაზღვრული პროცედურისა. მიუხედავად იმისა, რომ გასაჩივრებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ წინასამშენებლო ფაზაში ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებულის გარდა, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის ვალდებულებებში შედის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება (მუხლი 7. პუნქტი 2), სინამდვილეში ეს არანაირად არ არის ახალი ვალდებლება ან პროცედურის გაუმჯობესება. საქართველოს კანონმდებლობით (კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ (მუხლი 37), კანონი „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“), ისედაც სავალდებულო იყო გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარება.

აღნიშნული რეგულაცია, რომლითაც არ არის უზრუნველყოფილი საზოგადოების მონაწილეობა ასაშენებელი ელექტროსადგურის ასაშენებელი ელექტროსადგურის განთავსების ადგილის, სქემისა და ძირითადი ტექნიკური პარამეტრების განსაზღვრაში, ეწინააღმდეგება ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს, მე-7 მუხლის დებულებებს.

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციის ნორმებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ასევე ქვეყანაში მოქმედ სხვა საკანონმდებლო აქტებს. აქედან გამომდინარე, როდესაც მოწმდება ნორმატიული

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება, მოწმდება არა მარტო მისი საკანონმდებლო საფუძვლების არსებობა, არამედ ამ სამართლებრივი საფუძვლების კონსტიტუციასთან, განსაკუთრებით ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელ ნორმებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ვერ აკმაყოფილებს მოქმედი ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილ ფორმალური და მატერიალური კანონიერების კრიტერიუმებს, რის გამოც სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.
სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

2. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

3. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-20

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-21

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

შენიშვნა-22

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
დაევალოს მოპასუხეს წარმოადგინოს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები სრულყოფილად.

შენიშვნა-23

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-24

1. მოთხოვნა
არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა
არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?			
დიახ	☐	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	☒		

...

სარჩელის ფასი	—	არაქონებრივი ლარი
სახელმწიფო ბაჟი	—	100 (ასი) ლარი

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?		დიახ ☐	არა ☒
რომელი ნორმა?			
მტკიცებულება:			
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?		დიახ ☐	არა ☒
რის საფუძველზე?			
მტკიცებულება:			
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?		დიახ ☐	არა ☒
რის საფუძველზე?			
მტკიცებულება:			
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?		დიახ ☐	არა ☒
რის საფუძველზე?			
მტკიცებულება:			
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე: 5.			

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?		
დიახ	☐	მტკიცებულება:
არა	☒	რადგან საქართველოს მთავრობის ზემდგომი ორგანო არ არსებობს. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენა შეუძლებელია.

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?		
დიახ	☒	მორიგების პირობები:
არა	☐	რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☒	რადგან დავა მოსარჩელისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

შენიშვნა-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
25 წუთზე მეტი რადგან დავა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა.
რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
ი სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დავის განხილვის დასრულება გონივრულია.

შენიშვნა-30

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-31

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-32

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-33 შენიშვნა-34

დანართი 1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №214 დადგენილება - 6 ფურცელი. დანართი 2.საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის №107 დადგენილება - 2 ფურცელი. დანართი 3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი. დანართი 4. სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი - 1 ფურცელი.
ფურცლების საერთო რაოდენობა —

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება) და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☐	☒
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☒	☐
5.	მითითებულია დავის საგანი.	☒	☐
6.	მითითებულია სარჩელის ფასი.	☒	☐
7.	მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	☒	☐
9.	სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☒	☐
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	☒	☐
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
13.	სარჩელი ხელმოწერილია.	☒	☐
14.	სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	ხელმოწერა	სახელი და გვარი
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

ატვირთვის ბმული: http://tbappeal.court.ge/sf | **http://tbappeal.court.ge/sf**

 შენიშვნა-35

საიდენტიფიკაციო ნომერი:

შენიშვნა-36

შენიშვნა-37 *ელ. ფოსტა:* *1st.instance@court.ge* ☐

....

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" თავმჯდომარე: მანანა ქოჩლაძე.	20/09/2013 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი და გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

.